8 და 9 ნოემბერს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 29-ე ტურის მატჩები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის.

„დინამო“ (კიევი) – „დინამო“ (თბილისი) 3:1 (1:0)

კიევი. რესპუბლიკური სტადიონი. 8 ნოემბერი.

კიევი: ჩანოვი, ბესონოვი (ბალი), ევსეევი, გორილი, დემიანენკო, რაცი იაკოვენკო, მიხაილიჩენკო, შმატოვალენკო, ბელანოვი, ბლოხინი.

თბილისი: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, სვანაძე, რევიშვილი, ცვეიბა, სულაქველიძე, აჯოევი (კორღალიძე), გურული, შენგელია (ქეცბაია).

მსაჯი ა. ბარიშნიკოვი (მოსკოვი)

დუბლიორები - 1:0

კიევისა და თბილისის დინამოელთა ჩემპიონატის ორივე წრის შეხვედრები სხვადასხვა მიზეზით გადადებული იყო. ძველ მეტოქეებს მხოლოდ ახლა უხდებათ ერთმანეთთან თავიანთ ურთიერთობათა გარკვევა. 8 ნოემბერს ისინი ერთმანეთს კიევში შეხვდნენ. 12 ნოემბერს კი თამაში თბილისში შედგება.

პირველ ტაიმში მინდორზე მიმდინარეობდა შეუპოვარი ბრძოლა. ერთ-ერთი იერიშის დროს სტუმრებმა ძელსაც მოახვედრეს ბურთი, მაგრამ წარმატებას მაინც კიეველებმა მიაღწიეს: 36-ე წუთზე გოლი გაიტანა მიხაილიჩენკომ.

ასევე დაძაბული იყო ბრძოლა მეორე ტაიმშიც. მიმდინარეობდა 74-ე წუთი, როცა კიეველთა ერთ-ერთი შეტევისას, რომელშიც რამდენიმე მოთამაშე მონაწილეობდა, ხელსაყრელი მდგომარეობა შეექმნა ბლოხინს, მანაც გადამწყვეტი დარტყმა ზუსტად შეასრულა - 2:0.

მატჩი უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, როცა მიხაილიჩენკომ კიდევ ერთი ბურთი მოათავსა მეტოქის კარში, მაგრამ თბილისელებმა 85-ე წუთზე შეძლეს საპასუხო ბურთის გატანა (ეს გააკეთა ქეცბაიამ). საბოლოოდ გამარჯვება კიეველებს დარჩათ.

ლელო 10.11.1987